<u>შეღავათიანი აგრო კრედიტები მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:</u>

1. **შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთის (გვ. 1-2);**
2. **შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთის (გვ. 3-4);**
3. **შეღავათიანი აგროლიზინგი (გვ. 5);**

<u>ზოგადი პირობები:</u>

- ბენეფიციარი შეიძლება იყოს: ფიზიკური და იუირიდიული პირი ან/და ი/მ;
- ბენეფიციარი რეგისტრირებული უნდა იყოს ფერმათა/ფერმერთა რეესტრში (სააგენტოს ცხელი ხაზის ნომერია 1501);
- შეღავათიანი აგროკრედიტის და შეღავათიანი აგროლიზინგის ჯამი არ უნდა იყოს 1,500,000 ლარზე მეტი;
- შეღავათიანი აგროკრედიტის სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტის და ლიზინგის სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტის ჯამი არ უნდა იყოს 10,000,000 ლარზე მეტი.

1. **<u>შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთის მოიცავს შემდეგ ქვეკომპონენტებს:</u>**
   ა) ერთწლიანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტი;
   ბ) ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები;
   გ) ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ყურძნის შეძენას მოახდენენ სპირტის გამოხდის მიზნით;
   დ) ჩაის გადამამაუშავებელი საწარმოებისთის;

ა) <u>ერთწლიანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტის ძირითადი პირობებია:</u>

- სესხის მოცულობა: 5,000-დან 100,000 ლარამდე;
- სუბსიდიის ოდენობა და პერიოდი: უზრუნველყოფილზე სრულად, არაუზრუნველყოფილზე 17%, 6 თვე;
- დასაშვები საპროცენტო განაკვეთი:
  - 5,000-დან 20,000 ლარის ჩათვლით უზრუნველყოფილზე, არაუმეტეს 18%-სა, არაუზრუნველყოფილზე არაუმეტეს 21%-სა;
  - 20,001-დან 100,000 ლარამდე უზრუნველყოფილზე არაუმეტეს 17%-სა, არაუზრუნველყოფილზე არაუმეტეს 20%-სა;
- გაცემის საკომისიო: 50,000 ლარამდე 0,5%, 50,001 ლარიდან 100,000 ლარამდე 0,2%;
- დასაშვები გაცემის პერიოდი: 1 თებერვლიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით.

ბ) <u>ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოების ქვეკომპონენტის ძირითადი პირობებია:</u>

- მიზნობრიობა: სესხი გაიცემა მხოლოდ ყურძნის შესაძენად 2020 წლის სეზონზე;
- სესხის მოცულობა: არაუმეტეს 10,000,000 ლარისა;
- სესხის ვადა: არაუმეტეს 15 თვე;
- სუბსიდიის ოდენობა და პერიოდი: წლიური 8%, 15 თვე;
- დასაშვები საპროცენტო განაკვეთი (არაუმეტეს):
    - 20,000-დან 150,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 16%, ცვლადი NBG+8%;
    - 150,001-დან 600,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 15%, ცვლადი NBG + 7%;
    - 600,001-დან 1,500,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 14%, ცვლადი NBG + 6%;
    - 1,500,001-დან 5,000,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 13%, ცვლადი NBG + 5%;
    - 5,000,001-დან 10,000,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 12%, ცვლადი NBG + 4%;
- გაცემის საკომისიო: 50,000 ლარამდე 0,5%, 50,001 ლარიდან 10,000,000 ლარამდე 0,2%;
- დასაშვები გაცემის პერიოდი: 20 აგვისტოდან 31 ოქტომბრის ჩათვლით.
- საშეღავათო პერიოდი ძირზე და პროცენტზე: 2021 წლის 15 იანვრამდე;

გ) <u>ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ყურძნის შეძენას მოახდენენ სპირტის გამოხდის მიზნით ქვეკომპონენტის ძირითადი პირობებია:</u>

- მიზნობრიობა: სესხი გაიცემა მხოლოდ რქაწითელის და მწვანეს ჯიშის ყურძნის შესაძენად, რომლებიც ყურძენს გადაამუშავებენ სპირტის წარმოების მიზნით, 2020 წლის სეზონზე;
- სესხის მოცულობა: არაუმეტეს 15,000,000 ლარისა;
- სესხის ვადა: არაუმეტეს 36 თვე;
- სუბსიდიის ოდენობა და პერიოდი: წლიური 8%, 36 თვე;
- დასაშვები საპროცენტო განაკვეთი (არაუმეტეს):
    - 20,000-დან 150,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 16%, ცვლადი NBG+8%;
    - 150,001-დან 600,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 15%, ცვლადი NBG + 7%;
    - 600,001-დან 1,500,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 14%, ცვლადი NBG + 6%;
    - 1,500,001-დან 5,000,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 13%, ცვლადი NBG + 5%;
    - 5,000,001-დან 15,000,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 12%, ცვლადი NBG + 4%;
- გაცემის საკომისიო: 50,000 ლარამდე 0,5%, 50,001 ლარიდან 10,000,000 ლარამდე 0,2%;
- დასაშვები გაცემის პერიოდი: 20 აგვისტოდან 31 ოქტომბრის ჩათვლით.
- საშეღავათო პერიოდი ძირზე და პროცენტზე: 2021 წლის 15 მაისამდე;

დ) <u>ჩაის გადამამუშავებელი საწარმოებისთის ქვეკომპონენტის ძირითადი პირობებია:</u>

- მიზნობრიობა: სესხი გაიცემა მხოლოდ ჩიას შესაძენად;
- სესხის მოცულობა: 20,000-დან 5,000,000 ლარის ჩათვლით;
- სუბსიდიის ოდენობა და პერიოდი: წლიური 8%, 12 თვე;
- დასაშვები საპროცენტო განაკვეთი (არაუმეტეს):
    - 20,000-დან 150,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 18%, ცვლადი NBG+8%;
    - 150,001-დან 600,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 17%, ცვლადი NBG + 7%;
    - 600,001-დან 1,500,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 16%, ცვლადი NBG + 6%;
    - 1,500,001-დან 5,000,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 15%, ცვლადი NBG + 5%;
- გაცემის საკომისიო: 50,000 ლარამდე 0,5%, 50,001 ლარიდან 10,000,000 ლარამდე 0,2%;
- დასაშვები გაცემის პერიოდი: 1 მაისიდან 31 ივლისის ჩათვლით.
- საშეღავათო პერიოდი ძირზე და პროცენტზე: მომდევნო წლის 15 იანვრამდე;

2. <u>შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთის მოიცავს შემდეგ კომპონენტებს / ქვეკომპონენტებს:</u>

ა) კომპონენტი - შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის;
ბ) ქვეკომპონენტი - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მექანიზაციისთვის;
გ) ქვეკომპონენტი - ახალი მრავალწლოვანი კულტურების გაშენებისთვის;
დ) სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტი.

<u>ა) კომპონენტი - შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის ძირითადი პირობებია:</u>

- მიზნობრიობა: სესხი გაიცემა მხოლოდ ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების, მოდერნიზაციის ან/და არსებულ საწარმოებში სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად;
- სესხის მოცულობა: 20,000-დან 1,500,000 ლარის ჩათვლით;
- სესხის ვადა: საფინანსო ინსტიტუტის შეხედულებისამებრ;
- სუბსიდიის ოდენობა და პერიოდი: წლიური 11%, 48 თვე;
- დასაშვები საპროცენტო განაკვეთი (არაუმეტეს):
    - 20,000-დან 150,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 18%, ცვლადი NBG+8%;
    - 150,001-დან 600,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 17%, ცვლადი NBG + 7%;
    - 600,001-დან 1,500,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 16%, ცვლადი NBG + 6%;
- გაცემის საკომისიო: 50,000 ლარამდე 0,5%, 50,001 ლარიდან 10,000,000 ლარამდე 0,2%;

<u>ბ) ქვეკომპონენტი - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მექანიზაციისთის ძირითადი პირობებია:</u>

- ბენეფიციარი: ფიზიკური და იურიდიული პირი, ი/მ;
- მიზნობრიობა: სესხი გაიცემა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ან/და იმპლემენტის შესაძენად;
- სესხის მოცულობა: 20,000-დან 1,500,000 ლარის ჩათვლით;
- სესხის ვადა: საფინანსო ინსტიტუტის შეხედულებისამებრ;
- სუბსიდიის ოდენობა და პერიოდი: წლიური 8%, 48 თვე;
- დასაშვები საპროცენტო განაკვეთი (არაუმეტეს):
    - 20,000-დან 150,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 18%, ცვლადი NBG+8%;
    - 150,001-დან 600,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 17%, ცვლადი NBG + 7%;
    - 600,001-დან 1,500,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 16%, ცვლადი NBG + 6%;
- გაცემის საკომისიო: 50,000 ლარამდე 0,5%, 50,001 ლარიდან 1,500,000 ლარამდე 0,2%;

გ) ქვეკომპონენტი - ახალი მრავალწლოვანი ბაღების გაშენებისთის ძირითადი პირობებია:

- მიზნობრიობა: სესხი გაიცემა მხოლოდ ახალი ბაღების გაშენება-მოწყობისთვის;
- სესხის მოცულობა: 20,000-დან 1,500,000 ლარის ჩათვლით;
- სესხის ვადა: საფინანსო ინსტიტუტის შეხედულებისამებრ;
- სუბსიდიის ოდენობა და პერიოდი: წლიური 11%, 66 თვე;
- დასაშვები საპროცენტო განაკვეთი (არაუმეტეს):
    - 20,000-დან 150,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 18%, ცვლადი NBG+8%;
    - 150,001-დან 600,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 17%, ცვლადი NBG + 7%;
    - 600,001-დან 1,500,000 ლარის ჩათვლით ფიქს. 16%, ცვლადი NBG + 6%;
- გაცემის საკომისიო: 50,000 ლარამდე 0,5%, 50,001 ლარიდან 1,500,000 ლარამდე 0,2%;

დ) სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტის ძირითადი პირობებია:

- მიზნობრიობა: სესხი გაიცემა მხოლოდ ახალი საწარმოების შექმნის და არსებული საწარმოების გაფართოება/გადაიარაღების დაფინანსებისთვის;
- სესხის მოცულობა: 1,500,000-დან 10,000,000 ლარის ჩათვლით;
    - ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად სესხ(ებ)ის ჯამური მოცულობის არანაკლებ 80%-სა;
    - საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად სესხ(ებ)ის ჯამური მოცულობის არაუმეტეს 20%-სა;
- სესხის ვადა: საფინანსო ინსტიტუტის შეხედულებისამებრ;
- სუბსიდიის ოდენობა და პერიოდი: წლიური 11%, 36 თვე;
- დასაშვები საპროცენტო განაკვეთი (არაუმეტეს):
    - 1,500,000-დან 3,000,000 ლარამდე არაუმეტეს ცვლადი NBG+5%;
    - 3,000,000-დან 10,000,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ცვლადი NBG+4%;
- გაცემის საკომისიო: არაუმეტეს 0,2%;

შენიშვნა: ყურძნის გადამუშავების შედეგად მიღებული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება (ამ მიზნობრიობით სესხის გაცემა დასაშვებია 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით);

3. <u>შეღავათიანი აგროლიზინგი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს/ქვეკომპონენტებს:</u>

ა) შეღავათიანი აგროლიზინგი;
ბ) ლიზინგის სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტი;
გ) ქვეკომპონენტი სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციისთის;

ა) <u>შეღავათიანი აგროლიზინგის ძირითადი პირობებია:</u>

- მიზნობრიობა: სესხი გაიცემა მხოლოდ ახალი და არსებული სასოფლო სამეურნეო საწარმოების მანქანა-დანადგარებით აღჭურვის დაფინანსება;
- ლიზინგის მოცულობა: 20,000-დან 1,500,000 ლარის ჩათვლით;
- ლიზინგის ვადა: სალიზინგო კომპანიის შეხედულებისამებრ;
- სუბსიდიის ოდენობა და პერიოდი: წლიური 12%, 48 თვე;
- დასაშვები საპროცენტო განაკვეთი (არაუმეტეს): NBG + 12%.

ბ) <u>ლიზინგის სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტის ძირითადი პირობებია:</u>

- მიზნობრიობა: სესხი გაიცემა მხოლოდ ახალი და არსებული სასოფლო სამეურნეო საწარმოების მანქანა-დანადგარებით აღჭურვის დაფინანსება;
- ლიზინგის მოცულობა: 1,500,000-დან 10,000,000 ლარის ჩათვლით;
- ლიზინგის ვადა: სალიზინგო კომპანიის შეხედულებისამებრ;
- სუბსიდიის ოდენობა და პერიოდი: წლიური 12%, 36 თვე;
- დასაშვები საპროცენტო განაკვეთი (არაუმეტეს): NBG + 7%.
- შენიშვნა: ყურძნის გადამუშავების შედეგად მიღებული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება (ამ მიზნობრიობით სესხის გაცემა დასაშვებია 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით);

გ) <u>შეღავათიანი აგროლიზინგის ქვეკომპონენტი სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციისთვის ძირითადი პირობებია:</u>

- მიზნობრიობა: სესხი გაიცემა მხოლოდ ახალი და არსებული სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ან/და იმპლემენტის შესაძენად; ლიზინგის მოცულობა: 20,000-დან 1,500,000 ლარის ჩათვლით;
- ლიზინგის ვადა: სალიზინგო კომპანიის შეხედულებისამებრ;
- სუბსიდიის ოდენობა და პერიოდი: წლიური 9%, 48 თვე;
- დასაშვები საპროცენტო განაკვეთი (არაუმეტეს): NBG + 12%.
- შესაძენი ტექნიკა ან/და იმპლემენტი წარმოებული უნდა იყოს შესყიდვამდე არაუმეტეს 3 კალენდარული წლით ადრე და უნდა იყოს ახალი;